

საქართველი

საორტული გაზეთი შაბათი 21 ივნისი 2008 №141 (3365)

ფასი 50 თეთრი


სოფ გელდი, თურქეთო, ევროპა ნახევარფინალური მოგესალმება



წამებუნი წამებუა

119-ე ნუთი

120-ე ნუთი



უიბლდონი ქალთა ლაშაზ ფეხბურთე

უნიკალური მდგომარეობა შექმნილი ქალთა ტურნირის წინ — დედაქალაქის ზურგზე ადამიანი არ მოიძებნება, რომელიც გამოკვეთილ ფავორიტს დასახელებდა. ეს კი იმიტომ, რომ ქალთა ჩოგბურთის ბოლოლებმა, თითქოს პირი შეკრეს, ერთხმად განაცხადეს უარი წინასაიუმბლდონო მომზადებაზე. ამის გამო წლებულს არც ერთს კინკლა მატიჩი კი არ ჩაუტარებია ბალახზე და ლონდონში ვინ როგორი მომზადებული ჩადის, ამის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. ერთადერთი გამონაკლისი სვეტლანა კუზნეცოვაა, რომელმაც სცადა ისტბურნში თამაში, მაგრამ სწორედ იგი რომ მხოლოდ სცადა, რადგანაც პირველივე შეხვედრაში დაიფრინეს და ვერ იტყვიეს, ბალახზე თამაშის გამოცდილება მივიღო.

ასე რომ, ფავორიტის დასახელება სისულელედ მოჩანს, რადგანაც თითქმის ყველა ტოპმეჩოვნი თანაბარ მდგომარეობაშია. საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ ჩემპიონობის პრეტენდენტთა ჯგუფის გამორჩევა შეგვიძლია, რომლებიც პირველ სათამაშო კვირას თუ გადაურჩნენ და ორი-სამი წრე გააჩერეს, ტიტულისთვის ბრძოლას რეალურად მოახერხებენ.

ამ კატეგორიაში უპირველესად უნდა ვახსენოთ მარია შარაპოვა, რომელიც შანსს არ უშუბებს, არ თქვას — უიმბლდონი ჩემი საყვარელი ტურნირია და აქ მოასვენებ თავს არ დავზოგავო. ისე, უნდა აღნიშნოს, რომ რუს პრიმას ბალახზე თამაში მართლაც კარგად გამოსდის და, შარაპოვას თუ არ ჩავთვლით, ლონდონში ყოველთვის მინიმუმ ნახევარფინალამდე მიდიოდა ხოლმე. თუმცა წლებულს მამას ეს აღარ დააკმაყოფილებს, რადგანაც ის ტიტულზე იგეშება და მხოლოდ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. მართალია, შარაპოვამ სხვებით უგულვებელყო წინასაიუმბლდონო მზადება, მაგრამ რუსის წლებიდან ფორმიდან გამომდინარე, ეჭვის შეტანაც კი არ შეიძლება იმაში, რომ ის ტურნირს სრულყოფილად მომზადებული შეხვდება. თანაც შარაპოვას ერთი მცირე უპირატესობაც აქვს — „როლან გაროსიდან“ ნადრევი გავარდნა რუსი პრიმასთვის ეგებ სასარგებლოც იყო, რადგანაც მას დასვენებისთვის სხვებზე მეტი დრო ჰქონდა და ამ პერიოდში უნდა მოესწრო ყველანაირი ტრავმის ბოლომდე განკურნება და ჯანზე მოსვლა. თანაც შარაპოვა თითქმის ორი კვირაა, ლონდონში ვარჯიშობს, რის გამოც იქაურ პირობებს კარგად არის შეჩვეული. მამას ცოტა ხანი უნდა დასჭირდეს ტონუსში შესასვლელად და ეგებ პირველი ორი წრე იწვალოს კიდევ, მაგრამ მერე, მისი გაჩერება ნებისმიერს გაუჭირდება.

რუსი პრიმას შემდეგ სერბულ დუეტს დავაყენებდით — ანა ივანოვიჩი და ელენა იანკოვიჩი უკვე ნებისმიერ ტურნირზე ფავორიტთა მარაგის უცვლელი წევრები არიან და საჩემპიონო კანდიდატებში მოხსენიებასაც იმსახურებენ.

ამათგან უფრო მეტი ივანოვიჩისგანაა მოსალოდნელი. ორი-ოთხ კვირის წინ „როლან გაროსის“ მომგები და მსოფლიოს პირველ ჩოგნად ქცეული სერბ ლამაზმანს ახლა მთელი საჩოგბურთო სამყარო მისჩერებია და მისგან ყველა მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლას მოელოს. თან, წესით და რიგით, ივანოვიჩის სათამაშო სტილი კარგად უნდა შეეთვისოს ბალახზე ჩოგნაობის თავისებურებებს — სერბს არც მოწონდება დაეწუნება, შემტევი ჩოგბურთის მოყვარულიცაა და ბადესთან თამაშიც არ ეშლება. ეს ყველაფერი კი ანას უიმბლდონზე ძალიან ანგარიშგასაწევად აქცევს და თუ ნერვებმა არ დააღალატა, მაშინ სერბს ტიტულამდეც შეუძლია იაროს.



დიდი ამბიციები აქვს იანკოვიჩსაც, თუმცა ეგაა, რომ ეს სერბი აგერ უკვე ორი წელია, ვერაფრით ახერხებს ბოლო და გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმას. ელენა ნახევარფინალამდე რეგულარულად მიდის ხოლმე, მაგრამ აქ რაღაც

ემართება და მისი კოხტა ჩოგბურთისგან აღარაფერი რჩება. იანკოვიჩს საშველი თითქოს ჟუსტინ ენინის წასვლის შემდეგ უნდა დასდგომოდა — ბელგიელი ხომ ამ სერბს რეგულარულად ამწარებდა. თუმცა ელენას ვერც ამან უშველა და პარიზში ამჯერად უკვე თანამემამულესთან წაიბორძიკა. ასე რომ, იანკოვიჩისთვის მთავარი ფსიქოლოგიური პრობლემების დაძლევა იქნება.

აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ შაგა უილიამსებიც. ფავორიტთა ჩამოთვლა მათ გარეშე აბა, როგორ შეიძლება. მით უმეტეს, ეს ეხება უიმბლდონს, სადაც ორივეს უმარჯვია, თანაც არაერთხელ. უფროსი, ვინუსი კი სულაც მოქმედი ჩემპიონია და ტიტული ნამდვილად არ ეთმობა. ერთი ეგაა, რომ შავდებთან დაკავშირებით არა მარტო იმის გამოცნობაა შეუძლებელი, თუ როგორ ფორმაში იმყოფებიან, არამედ საერთოდ ჯანზე არიან თუ არა. ბოლო წლების განმავლობაში ხომ მათ ლაზარეთში უფრო მეტი დრო გაატარეს და ახლაც არაფრის წარმოდგენაც კი არა აქვს, საერთოდ შეძლებენ თუ არა ისინი ლონდონის კორტებზე გასვლას.

აი, თუ შეძლეს და თან ფორმაც თუ აკრიფეს, მერე რომელ მარაპოვა-ივანოვიჩის ფავორიტობაზე მოგვიწევს საუბარი, მაგასაც ვნახათ.

კახა ლომჯვანილი



1961 --- ანჯელა მორტიმერი	1972 ----- ბილი ჯინ კინგი	1983 - მარტინა ნავრათილოვა	1995 ----- შტეფი გრაფი
1962 --- კარენ ჰანც სუსმანი	1973 ----- ბილი ჯინ კინგი	1984 - მარტინა ნავრათილოვა	1996 ----- შტეფი გრაფი
1963 ----- მარგარეტ სმიტი	1974 ----- კრის ევერტი	1985 მარტინა ნავრათილოვა	1997 ----- მარტინა ჰინგისი
1964 ----- მარია ბუენი	1975 ----- ბილი ჯინ კინგი	1986 მარტინა ნავრათილოვა	1998 ----- იანა ნოვოტნა
1965 ----- მარგარეტ სმიტი	1976 ----- კრის ევერტი	1987 მარტინა ნავრათილოვა	1999 -- ლინდსი დევენპორტი
1966 ----- ბილი ჯინ კინგი	1977 ----- ვირჯინია უეიდი	1988 ----- შტეფი გრაფი	2000 ----- ვინუს უილიამსი
1967 ----- ბილი ჯინ კინგი	1978 მარტინა ნავრათილოვა	1989 ----- შტეფი გრაფი	2001 ----- ვინუს უილიამსი
1968 ----- ბილი ჯინ კინგი	1979 მარტინა ნავრათილოვა	1990 მარტინა ნავრათილოვა	2002 ----- სერენა უილიამსი
1969 ----- ენ პეიდონ ჯონსი	1980 - ივონ გულაგონგ კოული	1991 ----- შტეფი გრაფი	2003 ----- სერენა უილიამსი
1970 მარგარეტ სმიტ კორტი	1981 -- კრის ევერტ ლიდი	1992 ----- შტეფი გრაფი	2004 ----- მარია შარაპოვა
1971 ----- ივონ გულაგონგი	1982 მარტინა ნავრათილოვა	1993 ----- შტეფი გრაფი	2005 ----- ვინუს უილიამსი
		1994 --- კონჩიტა მარტინესი	2006 ----- ამელი მორესმო
			2007 ----- ვინუს უილიამსი



ოზონი

მშვენიერი გოგონები არიან, თანაც გერმანია იგებს და ესენიც ლაღობენ. პორტუგალიასთან თამაშის დროს კი წვიმა რომ წამოვიდა, გერმანულ დროშას შეაფარეს თავი. არადა, სულო ცოდვილო, გალუმპულები უკეთესი სანახავეები იქნებოდნენ.

ბასტიან შვაინშტაიგერი მთელმა გერმანიამ ხომ ტაშით დააჯილდოვა, არანაკლები ჯილდო მეგობარი გოგონასგან ერგო — აი, ასეთი ვნებიანი კოცნა.

ლუკას პოდოლსკის ნაკლებად გაუმართლა, მისი ჩამხუტებული ევროპის ჩემპიონატის თილისმად გადაცმული მამაკაცია.

ქვედა მარცხენა ფოტოზე მიროსლავ კლოზეს მეუღლეს ხედავთ, ვინაც, ცხადია, კმაყოფილია და მეუღლის მოლოდინშია.

ყველაზე ნაკლებად კი იმ უცნობ პორტუგალიელ გოგონას გაუმართლა, პორტუს ქუჩებში ამტყვდარი არეულობის დროს რომ დაშავდა და საკაცეზე მოხვდა.



მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ — შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

